

ტესტის სახელწოდება:

ფერიტინის ტესტი

ტესტის ალტერნატიული დასახელება:

ალტერნატიული დასახელება არ გააჩნია.

რას იკვლევს მოცემული ტესტი:

ტესტი ადგენს სისხლში ფერიტინის რაოდენობას. ფერიტინი ცილაა, რომელიც ორგანიზმში რკინის საწყობის ფუნქციას ასრულებს – იგი რკინას ამარაგებს და შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში, ისევ ათავისუფლებს მას.

როდესაც ორგანიზმი რკინის დეფიციტს განიცდის, სისხლში ფერიტინის შემცველობა იკლებს, ხოლო რკინის სიჭარბისას კი პირიქით – იმატებს.

ორსულებს რკინა საშუალოზე მეტი რაოდენობით სჭირდებათ და თუ მას საკმარისი ოდენობით არ მიიღებენ, ფერიტინის დონე დაუქვეითდებათ.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება:

ფერიტინის ანალიზი ინიშნება მაშინ, როდესაც პაციენტს რკინის დეფიციტის ან სიჭარბის სიმპტომები აღენიშნება.

რკინა-დეფიციტური ანემია განსაკუთრებით ხშირია ფეხმძიმე ქალებში, ამიტომ, ხანდახან, ფერიტინის ტესტს ორსულობისას ნიშნავენ.

როგორ კეთდება ეს ტესტი:

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის:

ჩვეულებრივ, ფერიტინის ტესტისთვის სისხლს დილით იღებენ. ანალიზამდე რამდენიმე საათით ადრე პაციენტმა თავი უნდა შეიკავოს საკვების მიღებისგან.

შედეგების ინტერპრეტაცია:

ფერიტინის დაბალი დონე შესაძლოა გამოწვეული იყოს რკინის დეფიციტით, თუმცა მხოლოდ ფერიტინის ანალიზის შედეგები დიაგნოზის დასასმელად საკმარისი არ არის.

ამიტომ ამ ტესტთან ერთად ხშირად სხვა ანალიზებიც ინიშნება ხოლმე.

ფერიტინის დონის მომატება სხვადასხვა დაავადებამ და მდგომარეობამ შეიძლება გამოიწვიოს.

ფერიტინის ანალიზის შედეგების სწორად ინტერპრეტირებისათვის აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია.